# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 158. ქვირა, 12 ოქტომბერი 1903 წ. გაზეთის № 2290.




ცნობილი ფრანგი არხეოლოგი ბარონ დე-ბაი

## სიმღერა

დე, ზღვა ჰქუხდეს, მის ტალღებზე
ქარიშხალი რისხვით ჰქროდეს,
და უფსკრული, ზღვის უფსკრული,
შეჭმას, ჩანთქმას გვემუქროდეს,—
მაინც გასწევს, სულ წინ გასწევს,
არ შედრკება ჩვენი ნავი,
განრისხებულ ზღვის სივრცეში
მამაცურად მომფრინავი.
და იომებს, ტალღებს დასძლევს,
სულ წინ გასწევს, სულ წინ გასწევს...

—

დე, ზვირთები დაგვედევნონ,
დორბლი ჰყარონ ბრაზ-მოდებით,
მაინც დავკრავთ ნიჩბებს ტალღებს,
გმირულად თავ-გამოდებით;
დე, წინ დაგვხვდეს ტალღათ გორა,
აგვემართოს ზღვის კედელი,
არ შედრკება ჩვენი ნავი,
მასაც გაჰკვეთს ბასრი მჭრელი.
და იომებს, ზვირთებს დასძლევს,
სულ წინ გასწევს, სულ წინ გასწევს!...

—

სულ წინ გასწევს და სადაც რომ
დაიმონებს გრგვინავ ზღვასა,
იქ შესწყვეტავს ნიჩბის ცემას,
იქ დაუშვებს იალქანსა.
და მანამ კი სულ იომებს,
მტრებსა დასცემს შიშის ზარსა,
მოყვარეს კი—ამბორს უყოფს,
გაუქარვებს გულის დარდსა.
სულ იომებს, მტრებსა დასძლევს,
სულ წინ გასწევს, სულ წინ გასწევს.

ქ. გოგოლაძე.

## მეოცნებე

(ლექსისებური).

— რად დამიღონდი, გულის-სწორო?—მკითხა თეონამ
და თვალნი თვისნი—ელვარენი—შემომანათა.
შევკრთი... სიმართლე ვერ ვუთხარი: სიმართლის თქმას ხომ
გმირი სჭირია, გმირი—ზეცით მოვლინებული.
მე-კი? მხდალი ვარ, ვით ქვეყანა ჩემი მშობელი,
თუმც ხოხობივით თავსა ვმალავ ოცნების ბუჩქში.
არა! არ მინდა, სულის ღმერთმა, გულის ტაძარმა
ეჭვი აიღოს ჩემ სიგლახე-სიბეჩავეში!..
მოვშორდი სატრფოს, პირი ვქენი მინდორ-ველისკენ.
და შავ-ბნელ ტყესა, დაბურულსა მე შევეფარე.
იქ დავჯექ რუს პირს, თავი ჩემი მოვიმარაგე,
და მშვიდ ბუჩქებას, გარინდებულს, ცვალებადიანს
ჩემი გულისთქმა შევუწყონე და შევუდარე.
ფიქრი დავქსელე, ზედ ვარამი ამოვაქარგე,—
გავფრინდი ცაში... ამ სოფლიდან მთლად ავიბარგე.
— მე კაცი მქვიან!—შევუძახე მთას გამურულსა
და მედიდურად მიმოვავლე გარემოს თვალი.
მე შემიძლია დავანგრიო, ამაღლებულო,
მე შემიძლია, მტვრად გაქციო, გაგანადგურო
და შენ ნანგრევზე ბინა დავსდო, დავისადგურო!
ნუ მეხუმრებით!!
— ხი, ხი, ხი, ხა, ხა!—-ჩაიცინა ბრიყვმა წვრიმალამ,
თვალი ჩაუკრა რუ-ანკარას და.. გაინაბა.
მთამ ჩაახველა, დაიგრგვინა... გადიხარხარა.
— შენ ბეჩავი ხარ!—ჩამჩურჩულა ყურში სიომ
და მაღალ მთასა შემოევლო შეითამაშა.
— ხმა ჩაიწყვიტე, საძაგელო! მე ძალმიძს-მეთქი
ზღვა და ხმელეთი, მიწა და ცა ერთმანერთს ვტყორცნო.
მე.. შემიძლია, მოვუწოდო ჩემ გონების ძალთ.
მე... შემიძლია, ავამხედრო მყის გულისთქმანი და...
შევკრა, შევკრო რაც ხმელეთზე უვავილებია,
მავნეთა ლეშით ამოვავსო ყრუ ხევ-ხუვები,
თაიგულისა კიბე ვუძღვნა ჩემ მეგობართა
და მთის მწვერვალზე გამარჯვების დროშა აღვმართო!...
—- რაო, რა ბძანე? ბოროტო მონავ,
ვინ მოგცა ნება გაბმულიყავ მაგ გვარ ფიქრებში?!
დამჭყივლა თავზე ტყისა მეფემ, ალ-ქაჯთ ხელმწიფემ
და მელოცნებეს თავი მიკრა... საპყრობილეში.
სტიროდა სატრფო... მეცა ვტირი მარტო-ხელობით.
მთა კი იცინის ულვაშის ქვეშ... ხან იბღვირება.
.....მიშველეთ რამე!!

ია ეკალაძე.







იაპონიის იმპერატორი და დედოფალი

# აირო

## ოსმალეთის სომეხთა ცხოვრებიდან

(თარგმანი)

შატახი*) აღელვებული იყო.

ყველგან, მთასა და ხეობაშიც, ჰქუხდა სახელი ალაწოდა მიკოსი. გულადის ამხანაგებით მიკო კლდიან მთაში დაბინავდა და იქიდან შიშსა და ელდასა ჰგვრიდა ოსმალებს. მიკო ლომსა ჰგავდა, რომელიც უცბად გამოვარდნილიყო რკინის გალიიდან და სამაგიეროს უხდიდა თავის დამმონავებელთ. ქურთები და ოსმალები თრთოდნენ. შაქირ-ფაშა, სომეხთა სოფლების მტარვალი, კანკალებდა ალაწოდა მიკოს მარტო სახელის გაგონებაზედაც კი.

სომხები ჰლოცავდნენ მიკოს. მაგრამ იყვნენ იმისთანებიც, რომელნიც წყევა-კრულვით იხსენიებდნენ თავიანთ მფარველს.

ყველაზე ძალიან სწყევლიდა მიკოს აირო.

აირო კმაყოფილი იყო. ჰყავდა ყევარი ხარი და რამდენიმე მეწველი ძროხა. ჰქონდა აგრეთვე კარგი სახნავი მიწები...

მართალია, ქურთებს მიჰქონდათ ნახევარი იმის მონაგარისა, ბევრს მუშაობდა და ცოტას იღებდა, მაგრამ იმდენი მაინც რჩებოდა, რომ როგორმე ეცხოვრა. მეტს როგორღა მოითხოვდა დამონავებული გლეხი!

*) პროვინციაა ოსმალეთის სომხეთისა.

აიროს ხშირად ესმოდა, რომ ქურთებმა ქალი მოიტაცეს, რომ ზაფთიამ,**) რომელმაც ღამე მეზობელთან გაათია, შელახა დიასახლისის პატიოსნებაო და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს მაგდენად არ აინტერესებდა, რადგან თითონ მოსვენებით სცხოვრობდა: ჯერ-ჯერობით იმის დისთვის, ნაზოსთვის, საწყენი სიტყვა არავის შეუბედნია.

„ვინ არის დამნაშავე? თითონ უნდა იზრუნონ თავიანთ ოჯახობაზე. ზაფთი მოვიდა ღამის გასათევად—დამალე შენი ოჯახობა. თუ სახლში დარჩა ზაფთიც და თავადიც ძალას მოიხმარს.“

ასე სჯიდა აირო და არც სინიდისი ჰქენჯნიდა:

ყოველ დილით აირო მიერეკებოდა ხოლმე თავის საქონელს მინდორში და საღამოთი მღერით უკანვე ბრუნდებოდა. როგორ არ დაეწყევლა აიროს მიკო, როდესაც იმის გამო ოსმალებმა სოფელში ზაფთიების მთელი გუნდი ჩააყენეს...

შემოდგომა იყო. სოფლიდან შორს, უდაბური მინდორში, აირო თავის მიწასა ჰფარცხავდა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, აირო!

აირომ თავი მაღლა აიღო და მიკო დაინახა თავის ამხანაგებით.

— მადლობელი ვარ!—მიუგო აირომ უგემურად.

— რას აკეთებ, აირო?

— ვფარცხავ, ვერა ჰხედავ?

— რისთვისა შრომობ?

საკვირველი კითხვა იყო. აირო დიდხანს უცქეროდა იმას, მერმე წაიდუდუნა:

— რისთვის? თითქოს არ გესმის, რომ ოჯახობა მყავს, უნდა ვიმუშაო და ვიშოვნო ლუკმა პური.

**) ოსმალეთის ჟანდარმი.



იაპონელ ქალების თავის დავარცხნა.

—პური?—წარმოსთქვა დაცინვის კილოთი მიკომ.—კარგი, აირო, მაგრამ ერთი მითხარ, შენს ნაშრომიდან ქურთები და თურქები გინარჩუნებენ რასმეს?

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო.

შემოდგომის ნაღვლიანი, ღრუბლიანი საღამო იყო. აირო მინდვრიდან შინ მიდიოდა მძიმედ და მოსვენებით, როგორც იმის ხარები, რომელნიც ნელა, თავებ ჩაკიდულნი მიდიოდნენ. ხარები იცოხნებოდნენ, ხოლო აირო მღეროდა.

ზაფთიების სადგომის მახლობლად აირო უცებ შეჩერდა: იქიდან დედაკაცის კივილის ხმა მოესმა.

თითქმის ხარებმაც კი აცქვიტეს ყურები, ხოლო აირო შეკანკალდა.

ოთახში საზარელი დანაშაულობა მოხდა... აირო გაიქცა. სხვა რა ექმნა? შევარდნილიყო უმწეო მსხვერპლის საშველად? ხომ თავს დაიღუპავდა! აიროს არ შესწევდა გამბედაობა და შამაცობა...

როგორც კი ფეხი გადადგა, აირო რაღაც შეუნიშნავმა ძალამ შებოჭა. უსაყვედურებდა თავის თავს ულმობელობისა და უადამიანობისათვის, მაგრამ არ შეეძლო ადგილიდან დაძრულიყო.

არ გასულა ერთი წუთი, რომ მოულოდნელად გამოვარდა ქალი, რომელიც ზაფთიებს ხელიდან დაუსხლტა და კივილით, გულის ფანცქალით, აიროს კისერზე ჩამოეკიდა.

ნაზო იყო.

გაიელვა, დაიქუხა. აიროს თვალთ დაუბნელდა, ეგონა, ქვეყანა ინგრევა, ყველას ბოლო ეღება. აღარ ახსოვს, როგორ მიიყვანა სახლში გრძნობა დაკარგული ნაზო.

აირო კუთხეში მიდგა და დიდხანს, დიდხანს სტიროდა. კარგა ხანია ასე მწარედ არ უტირნია.

მხოლოდ ეხლა იგრძნო ტანჯვა დაჩაგრულ ადამიანისა, გაუპატიურება დამონავებულ, ღარიბ ხალხის შვილებისა.

ღამე იყო. აირო ადგა, თვალები მოიფშვნიტა და გძელი ჯოხი აიღო. მოხუცმა მამამ შეატყო, რომ აირო შორ წასასვლელად მიემგზავრებოდა და ჰკითხა:

— საით? ამ უკუნეთ ღამეში სად მიხვალ?

— არა, მამი, მე ეხლა გავიგე და ვიგრძენ... მე უნდა წავიდე... თუნდ სწვიმდეს, თუნდ სეტყვა მოდიოდეს, თუნდ ქვები მეცემოდეს თავზე, სულ ერთია, უნდა წავიდე. რატომ ენა არ მიდუნდებოდა, როდესაც ვწყევლიდი მიკოს! თუ ის საქმე დაწყევლილია, მაშ რომელია დალოცვილი? ვშრომობდი, ოფლს ვღვრიდი იმისთვის, რომ სისხლის მსმელ ქურთებს მეეტაცნათ? როგორც თვალის ჩინს, ისე უფთხილდებოდი ნაზოს, მეშინოდა ზაფთიებს არ აეხადნათ იმისთვის ნამუსი. არა, განა ამის შემდეგ მე ცოცხალი უნდა ვიყო, თავზე ქუდი უნდა მეხუროს? მშიშრებს და ლაჩრებსაც არ შეუძლიანთ ამის ატანა!

მოიხადა ქუდი, დაავდო ძირს დედამიწაზე და სიბნელეში გაჰქრა.

აირო მირბოდა და იძახდა: მიკო, მიკო! აშხაპუნებდა წვიმა, ქარიშხალი უწეწდა თმას, მაგრამ მაინც მირბოდა, როგორც ბოროტი სული. ჯერ კიდევ ბნელოდა, როდესაც დაღალული და დაქანცული ჩამოჯდა ქვაზე. საზარელი ფიქრები უვლიდა თავში. გულით უნდოდა, რომ ცეცხლის ალად გადა-



წერილების დამტარებელი იაპონიაში.

ქცეულიყო და დაეწვა და ნაცრად ექცია თავისი მტრები, რომ სამაგიერო გადაეხადნა დის გამაუპატიურებელთათვის.

დიდხანს იხეტიალა აირომ, ვიდრე მიკოს იპოვნიდა. როდესაც მივიდა, დაეცა იმის წინ და სთქვა:

— აღარ შემიძლიან ვიცოცხლო, მომკალით, სიცოცხლე ჩემთვის არაფერია... მე ვიყავ ყრუ, უწყალო, სხვის ცრემლებს არაფრად არ ვაგდებდი, დამშვიდებულის გულით ვუყურებდი ყველაფერს. მაგრამ ეხლა, ეხლა ის აღარა ვარ... ეხლა ვგრძნობ სხვის ტანჯვას და დარდს. დაანგრიეთ, ცეცხლსა და მახვილს მიეცით ზაფთიების სადგომები! გადაუხადეთ სამაგიერო ქალის ნამუსის ახდისთვის!

არას დროს არა ყოფილა შეუგნებლობა ასე დაგმობილი, ხოლო სინამდვილე ასე გულწრფელი.

საზარელი ღამე იყო. სოფელს მოვუსვენარის ძილით ეძინა.

არ ეძინა ნაზოსაც. იმ დღიდან, როდესაც იმისი ძმა გაჰქრა, არ იცოდა მოსვენება, უძლურდებოდა და მწუხარებისაგან დნებოდა.

გარშემო სიჩუმე იყო. შორს ერთი ძაღლი საზარლად ღმუოდა. მალე სხვებმა ზრიამული მორთეს. გაისმა უცბად თოფის ხმა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, საზარელი სიჩუმე. შემდეგ ისევ გავარდა თოფი და ბოლოს განუწყვეტელი სროლა გაისმა.

ნაზო ნელა წამოჯდა ლოგინში და ყური დაუგდო. თოფის ხმასთან ერთად ისმოდა ადამიანთა ხმა. ნაზოს გულმა კანკალი უწყო, იგრძნო, რომ ამ ალიაქოთს რაღაც კავშირი აქვს იმასთან, რომ იქ აიროა... ნაზომ ჩუმად გააღო კარები და ფრთხილად აძვრა ბანზე.

მთელი სოფელი განათებული იყო. ზაფთიების სადგომებს ცეცხლი ედებოდა, ხოლო იმის გარშემო სასიკვდილო ბრძოლა იყო თავისუფლებისათვის. ნაზო აკანკალდა... ის აზრი, რომ ძმა იქ არის, იმ საზარელ შეტაკებაში, შესაძლოა ცეცხლის ალშიაც, ძალას უმატებდა: საშინლად მოუნდა იქ, იმის ახლოს ყოფნა.

ჩამოვიდა ბანიდან და ვიწრო, ყრუ ქუჩებით გასწია ზაფთიების სადგომისკენ. ყველაზედ მამაცად ამ შეტაკებაში იქცეოდა ერთი თავ შეხვეული სოფლელი. უეცრად ამ მამაც მებრძოლს ტყვია მოჰხვდა. უცნობი შეთრთოლდა და შეინძრა... სწორედ ამ წუთს ნაზო მოეხვია.

აირო წყნარად დაეყრდნო დის მკერდს.

გაყვითლებული იყო, ტუჩები უთრთოდა, გულიდან სისხლი სდიოდა. საცოდავმა ნაზომ მიაფარა ხელი ძმის ჭრილობას და მხურვალედ დაუწყო კოცნა იმის გაცივებულ და გაყვითლებულ შუბლს. აირო დაეცა მიწაზე, რადგან ფეხზე დგომის ძალა აღარა ჰქონდა და ჩუმად წარმოსთქვა:

— ნაზო, ეხლა შეგიძლიან დამხურო თავზე ქუდი!

მ. ახმეტელაშვილი



საზოგადოებამ არ იცის, რომელ თეატრში წავიდეს.



ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლები. უადგილობისა გამო ხშირად ვაგონების ბანზე არიან.



ტფილისის ქუჩებზე მოსიარულეთა მდგომარეობა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 октября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ბის.